

დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დასრულებული კვლევები

„ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენცია საჯარო სკოლაში“

პროექტში ჩართული პირები:

დარეჯან ჯავახიშვილი, მკვლევარი

ნინო ჯავახიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი

პროექტის დაფინანსება/მხარდაჭერა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2012

პროექტის აღწერა:

პროექტი EUDAP-ის, ანუ ევროპის ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის ინიციატივის, ქართულ სინამდვილესთან ადაპტაციაზეა მიმართული. ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრობლემის დაძლევის ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოში დღეისათვის ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ვითარების ცვლილებისათვის საჭიროა განათლების სისტემაში ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა. EUDAP-ის პროექტი განათლების სისტემას სამეცნიერო მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრევენციულ მოდელს სთავაზობს.

პროექტის ფარგლებში ვთარგმნეთ EUDAP-ის მასალები; მოხდა მისი პილოტირება-ადაპტირება ორ სკოლაში (ფოკუსჯგუფები), ჩატარდა ტრენინგი პედაგოგებისათვის ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციაში. გამოიცა სახელმძღვანელო „ფონოგრამის გარეშე“ (მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი, სახელმძღვანელო მშობლებისთვის და ბარათები).

პრევენციის პროგრამაში ჩართული იყო 200 მოსწავლე. პროგრამის განხორციელებასთან ერთად მოხდა მისი გავლენის შესწავლა და შეფასება კვაზი-ექსპერიმენტის მეთოდით. პროგრამის განხორციელების შემდეგ ცვლილება არ გამოჩნდა, თუმცა, საჭიროა მსგავსი გაზომვის ორჯერ მაინც ჩატარება სულ მცირე სამი და ექვსი თვის ინტერვალით. სამწუხაროდ, დაფინანსების შეწყვეტის გამო, პროექტი ვერ გაგრძელდა 2013 წელს და, შესაბამისად, ვერ შეგროვდა სათანადო მონაცემები. თუმცა, პროექტის პროდუქტი - ინტერვენციის ადაპტირებული პროგრამა, გააადვილებს შემდგომში EUDAP-ის მიდგომის საქართველოს სკოლებში დანერგვას.

კვლევის შედეგების გამოქვეყნება:

Javakhishvili, D.; Javakhishvili, N. Miovsky, M.; Razmadze M., Kandelaki, N. (2014). Piloting European Drug Addiction Preventive intervention Unplugged Program in Georgia: Formative Study”. *Addictology*, 2014 N2, pp. 126-133

„ადრეული ზრდასრულობის კვლევა: გლობალიზაცია თუ ლოკალიზაცია?“

პროექტში ჩართული პირები:

ნინო სხირტლაძე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/მკვლევარი

ნინო ჯავახიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი

პროექტის დაფინანსება/მხარდაჭერა:

შვეიცარიის აკადემიური კავკასიური ქსელი 2011-2013

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2012, 2013

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2013-2014

პროექტის აღწერა:

პროექტი საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების მონაწილე მოზარდებისა და ახალგაზრდა/ადრეული ზრდასრულობის იდენტობის ჩამოყალიბების კვლევას ისახავს მიზნად. ადრეული ზრდასრულობის (18-29 წელი) ცნება შედარებით ახალი შემოსულია პიროვნების ფსიქოლოგიაში და ამჟამად კვლევის აქტუალური საგანია. მონაცემები აჩვენებს, რომ ის სოცო-კულტურულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, ამიტომ, მნიშვნელოვანია მისი ქართულ კულტურაში შესწავლა, რომელიც, რიგი ასპექტებით განსხვავდება აშშ-ის კულტურისაგან, სადაც ეს ცნება დაიბადა.

პიროვნული იდენტობის ცვლილება საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შედეგად

კვლევის კითხვებია:

იცვლება თუ არა საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების მონაწილე მოზარდების გამოცდილება იმ მოზარდებთან შედარებით, ვისაც არ მიუღია ამ პროგრამებში მონაწილეობა? თუ კი, კერძოდ, როგორ?

ა. უფრო მნიშვნელოვანი ხდება იდენტობის ზოგიერთი შინაარსი, მაგალითად, ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა?

ბ. ჩნდება ახალი ღირებულებები, მიზნები, რწმენები?

გ. იცვლება იდენტობის განზომილებები?

დ. იზრდება დაბნეულობის განცდა? რთულდება იდენტობის სტრუქტურა?

კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო პრე- და პოსტსქემა, ინსტრუმენტებად კი - მაკ-ადამსის ნარატიული ინტერვიუ და იდენტობის განზომილებების ფორმირების კითხვარი (ლუქსი). ეს კითხვარი ქართულ პოპულაციას მოვარგეთ. მონაცემების დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართველ ახალგაზრდებთან იდენტობის ჩამოყალიბება განსხვავებული ტრეკტორიით მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში საქართველოში მოვიწვიეთ ამერიკელი ფსიქოლოგი სეთ შვარცი, რომელმაც უნივერსიტეტის პროფესორებთან და დოქტორანტებთან გამართა ინდივიდუალური შეხვედრები, ხოლო 18 ოქტომბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გააკეთა მოხსენება თემაზე „What is Identity and why do we need it?“.

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდა რამდენიმე საერთაშორისო პრეზენტაცია და პუბლიკაცია:

კვლევის შედეგების წარდგენა:

1. ნინო ჯავახიშვილი - მოხსენება Identity formation in the early adulthood: Globalization versus localization. Political Transformation and Social Change in the South Caucasus. Georgia and Armenia. June 29-30, 2012, Yerevan
2. ნინო სხირტლაძე - მოხსენება Identity Formation Processes and Socio-Cultural Context for Emerging Adulthood in Georgia. Political Transformation and Social Change in the South Caucasus. Georgia, Armenia and Azerbaijan in Perspective. June 21-22, 2013, Tbilisi
3. ნინო ჯავახიშვილი - მოხსენება *Adaptation of Dimensions of Identity Formation Scale (DIDS) to Georgian population*. European Conference on Psychological Assessment, სანსეზასტიანი, ესპანეთი 17-20 ივლისი 2013
4. ნინო ჯავახიშვილი - მოხსენება Changes in Narrative Identity as a result of Study Abroad. 5th Global conference, storytelling, Lisbon, May 10-14, 2014
5. ნინო სხირტლაძე - მოხსენება “Personal identity in the context of international exchange study programs” on the 22nd Congress of the International Association for Cross-Cultural Psychology, რეიმსი, საფრანგეთი. 2014 [კონფერენციაში მონაწილეობა უზრუნველყოფილი იყო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში]

კვლევის შედეგების გამოქვეყნება:

სხირტლაძე, ნ., ჯავახიშვილი ნ. (2012) ”იდენტობის ფორმირება და ზრდასრულობის სუბიექტური აღქმა”. ქართული ელექტრონული ჟურნალი: განათლების მეცნიერებები და ფსიქოლოგია, GESJ:Education Sciences and Psychology // 2012 | No.3(22) , pp. 79-86

„ქართველი სტუდენტების ეთნიკური და რელიგიური დამოკიდებულებები“

პროექტში ჩართული პირები:

ნინო ჯავახიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი

ნათია კოჭლაშვილი, მეცნიერ-თანამშრომელი/ასისტენტ-მკვლევარი

ირინა ვარდანაშვილი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი/ასოცირებული მკვლევარი

ანა მაყაშვილი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი/ასოცირებული მკვლევარი

პროექტის დაფინანსება/მხარდაჭერა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2012-2013

პროექტის აღწერა:

პროექტი ქართველი სტუდენტების დამოკიდებულებებს იკვლევს. სოციალური დისტანციის საზომი სკალით (ბოგარდუსი) მონაცემები შეგროვდა არა მხოლოდ ქართველ, არამედ გერმანელ და იაპონელ სტუდენტებზეც. შევამოწმეთ ემორი ბოგარდუსის მიერ შემუშავებული სოციალური დისტანციის კითხვარის მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა; ინსტრუმენტის კონსტრუქტული ვალიდობა ნაჩვენები იქნა სოციალური დისტანციის სკალაზე სამი სხვადასხვა შერჩევის – გერმანელ, იაპონელ და ქართველ სტუდენტთა – მიერ მიღებულ ქულათა კორელაციით ამავე შერჩევასთან ჩატარებული ეთნიკური ტოლერანტობის სკალის ქულებთან. გავაკეთეთ ტოლერანტობის სკალის ფაქტორული ანალიზი და კროს-ვალიდაცია. ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური ტოლერანტობის სკალა სამ სხვადასხვა შერჩევაში განსხვავებულად მუშაობს, ხოლო კროს-ვალიდაციამ ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალის ვალიდაცია დაადასტურა. ამდენად, სოციალური დისტანციისა და ტოლერანტობის სკალები დამოკიდებულებათა კარგი საზომებია.

კვლევის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ როგორც ქართველ, ისე გერმანელ და იაპონელ სტუდენტებს გაცილებით ნაკლები სოციალური დისტანცია აღმოაჩნდათ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან, ვიდრე იმ ქვეყნებთან, რომლებიც უშუალოდ მათ ესაზღვრება.

იმისათვის, რომ შეგვემოწმებინა, თუ რა უდევს საფუძვლად ქართველ სტუდენტთა მიერ ამა თუ იმ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებებს, ჩავატარეთ რამდენიმე ფოკუსჯგუფი როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური დამოკიდებულებების საკითხზე. ფოკუსჯგუფებმა ჩვენი ჰიპოთეზები გარკვეულწილად გაამყარა და საშუალება მოგვცა, სტუდენტთა სოციალური დისტანციების საფუძვლად მდებარე რამდენიმე მთავარი ფაქტორი გამოგვეყო. ამჟამად მზადდება სტატია ჟურნალისათვის: Europe-Asia Studies, impact factor 0.58

კვლევის შედეგების წარდგენა:

Natia Kochlashvili – Georgian Students Feel Closer to West Europeans and Americans than to their Neighbors. Sixth CRCEES Annual Research Forum & Fifth Assessing Accession Research Symposium, Glasgow, UK, 23-24 May 2013

Ana Makashvili – Religious Social Distance: Exploratory Study of Georgian Students. Sixth CRCEES Annual Research Forum & Fifth Assessing Accession Research Symposium, Glasgow, UK, 23-24 May 2013

Nino Javakhishvili – Construct Validity of Social Distance Measure. 7th Annual International Conference on Psychology, Athens, Greece, 27-30 May 2013

Ana Makashvili – Attitudes of Georgian, German and Japanese Students to Religious Groups. The 13th European Congress of Psychology, Stockholm, Sweden, 9-12 July 2013

კვლევის შედეგების გამოქვეყნება:

Javakhishvili N., Schneider J. F., Makashvili A., Kochlashvili N. (2012). “Ethnic Social Distance: A comparison of Georgian, German and Japanese students”. Journal of Social Management, vol.10, num.2, pp.55-65

Javakhishvili, N., Schneider, J.F., Makashvili, A. And Kochlashvili, N. (2013) “Measuring Ethnic Attitudes: Tolerance and Social Distance from Cross-cultural Perspective” Athens: ATINER’S Conference Paper series, No: PSY2013-0543.

კავშირი სწავლებასთან:

პროექტის ხელმძღვანელი, ნინო ჯავახიშვილი, ატარებს საბაკალავრო კურსს: სოციალური ცხოველი: რატომ არ მოგვწონს სხვები და როგორ ვექცევით გავლენის ქვეშ? მას ასისტირებას უწევს პროექტის მკვლევარი ანა მაყაშვილი.

ნინო ჯავახიშვილი ატარებს სამაგისტრო კურსს: სოციალური ცხოველი: რატომ არ მოგვწონს სხვები და როგორ ვექცევით გავლენის ქვეშ? მას ასისტირებას უწევენ პროექტის მკვლევარები ირინა ვარდანაშვილი და ანა მაყაშვილი.

პროფესორმა ნინო ჯავახიშვილმა წაიკითხა კურსი: “Being Other in Georgia” მაგისტრანტი სტუდენტებისათვის ჰელსინკის უნივერსიტეტში, 2013 წლის მაისი.

პროფესორმა შნაიდერმა 2012 წლის აპრილში პროფესორ ნინო ჯავახიშვილთან ერთად წაიკითხა ლექციების კურსი გაღრმავებულ სტატისტიკაში ინგლისურ ენაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი სტუდენტებისათვის. ლექციებს ესწრებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ის პროფესორებიც, რომლებიც კითხულობენ ან მომავალში წაიკითხავენ გაღრმავებული სტატისტიკის კურსებს.

"ინკლუზიური განათლების ბარომეტრის მაჩვენებლები საქართველოში"

პროექტს ახორციელებენ:

ნინო ჯავახიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი

თინათინ ჭინჭარაული, მოწვეული კონსულტანტი

პროექტის დაფინანსება/მხარდაჭერა:

საქართველოს მეცნიერების და განათლების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შედეგად მიმდინარე პროექტის - „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ - ფარგლებში, აგვისტო-დეკემბერი, 2013

პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარების აწმყო დონისა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში.

პროექტის შედეგად:

- ითარგმნა და გარედაქტირდა P2I – ქვეყანაში ინკლუზიური განათლების შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი - კითხვარი „ინკლუზიური განათლების ბარომეტრი“;
- ითარგმნა და გარედაქტირდა ინკლუზიური განათლების შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი - „ინდექსი ინკლუზიისთვის“;
- ჩატარდა ფოკუსჯგუფი ინკლუზიური განათლების ბარომეტრის შევსების მიზნით. ფოკუსჯგუფში მონაწილეობა მიიღეს ინკლუზიური განათლების მოდელის

განხორციელების პროცესში ჩართული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;

- ჩატარდა საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მშობლები, ტიპიური განვითარების მქონე პირების მშობლები) გამოკითხვა საქართველოს 10 რეგიონში (სულ 200 რესპონდენტი).
- მიღებული მონაცემების საფუძველზე, მომზადდა კვლევის ანგარიში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სერვისების მიმწოდებელთა ასოციაციისთვის, სადაც ნათლად ჩანს საქართველოს მდგომარეობა ევროპის 10 ქვეყანასთან მიმართებაში.
- კვლევის შედეგების მიხედვით მომზადდა სამეცნიერო სტატია „საქართველოში ინკლუზიური განათლების მიღწევები და გამოწვევები“ British Journal of Special Education გამოსაცემად. Inclusive education in Georgia. Current Trends and Challenges
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტების ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მიზნით გამოყენების რეკომენდაცია გაეწია.

„სოციალური კაპიტალის განმსაზღვრელი ფაქტორები ოჯახში ძალადობასთან ბრძოლაში“

პროექტში ჩართული პირები:

ნინო ჯავახიშვილი, ინსტიტუტის დირექტორი

მაკა ლორთქიფანიძე, თანაშემწე/მკვლევარი

ნინო ბუწაშვილი, ასისტენტი

გვანცა ჯიბლაძე, სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების მაგისტრი

პროექტის დაფინანსება/მხარდაჭერა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2012, 2013

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2013-2014

ქალთა ფონდი საქართველოში, 2015

პროექტის აღწერა:

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრა მხოლოდ სხვადასხვა ინსტიტუციის ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. პროექტი ეხება ოჯახში ძალადობას და მის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუციების, როგორც სოციალური კაპიტალის, მნიშვნელობას. აღმოჩნდა, რომ საქართველოში, ამ მხრივ, არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა, რადგან მასმედია, ეკლესია და ადგილობრივი საზოგადოება არ ებრძვიან ამ პრობლემას. მხოლოდ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ ამ მიმართულებით, თუმცა, მათ შორის თანამშრომლობა შედარებით ნაკლებია და პრობლემის გადაჭრის სტრატეგიული ხედვა ჯერ კიდევ განსავითარებელია.

პროექტის ფარგლებში საქართველოში მოვიწვიეთ საარლანდის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, იოჰან შნაიდერი, რომელმაც გამართა ინდივიდუალური შეხვედრები უნივერსიტეტის პროფესორებთან და დოქტორანტებთან.

საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალისათვის - Journal of Public Policy - მომზადდა სტატია: Implementation of Anti-Domestic Violence Policy: Contextual Interaction of Actors.

კვლევის შედეგების წარდგენა:

მაკა ლორთქიფანიძე, მოხსენება „სოციალური კაპიტალი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ: ეკლესია, მასმედია, საზოგადოება“, მე-4 ყოველწლიური კონფერენცია გენდერის კვლევაში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 6 დეკემბერი, 2012

გვანცა ჯიბლაძე, მოხსენება "ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის იმპლემენტაცია საქართველოში კონტექსტუალური ინტერაქციის თეორიის მიხედვით", მე-4 ყოველწლიური კონფერენცია გენდერის კვლევაში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. 6 დეკემბერი, 2012

ნინო ჯავახიშვილი, მოხსენება, "The Role of Social Capital in Combating Domestic Violence". 10th Global Conference on Violence, Prague, Czech Republic, 2012

ნინო ჯავახიშვილი, მოხსენება „*Symbolic realization of anti-domestic violence policy. Case of Georgia*“ 3rd European Conference on Politics and Gender, 21-23 March, 2013. Barcelona, Spain

კვლევის შედეგების გამოქვეყნება:

Javakhishvili, N., Lortkipanidze, M., Petriashvili, N. (2012). "The Role of Social Capital in Combating Domestic Violence". A Global Network for Dynamic Research and Publishing. Conference paper. Prague, 2012. <http://www.inter-disciplinary.net/probing-the-boundaries/wp-content/uploads/2012/06/nino-et-al-Wpaper.pdf>.

ჯიბლაძე გ. ჯავახიშვილი ნ. (2013). ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის იმპლემენტაცია საქართველოში, კონტექსტუალური ინტერაქციის თეორიის მიხედვით. Proceedings of the UCSS conference, 2012. http://css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=52

ჯავახიშვილი ნ., ლორთქიფანიძე მ., პეტრიაშვილი ა. (2013). სოციალური კაპიტალი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ: ეკლესია, მასმედია, საზოგადოება. Proceedings of the UCSS conference, 2012. http://css.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=52

Nino Javakhishvili, Gvantsa Jibladze - „Contextual Interaction of Actors to Implement Anti-domestic Violence Policy“ <http://www.ecpg-barcelona.com/sites/default/files/Contextual%20Interaction%20of%20Actors%20to%20Implement%20Anti-Domestic%20Violence%20Policy.pdf>

კავშირი სწავლებასთან:

პროფესორმა ნინო ჯავახიშვილმა წაიკითხა ორი ლექცია მაგისტრანტებისათვის გლაზგოს უნივერსიტეტში, 2012 წლის სექტემბერი

პროფესორმა ნინო ჯავახიშვილმა წაიკითხა ორი ლექცია მაგისტრანტებისათვის ტუმას უნივერსიტეტში (იტალია), 2013 წლის მარტი

„აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებში მშობლის მიერ განხორციელებული ადრეული ინტერვენციის პროგრამის ეფექტურობის შეფასება“

პროექტში ჩართული პირები:

თინათინ ჭინჭარაული, მოწვეული კონსულტანტი

ნინო ოქროსაშვილი, მკვლევარი

პროექტის დაფინანსება/მხარდაჭერა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2013

პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანს წარმოადგენდა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების ადრეული ინტერვენციის ერთ-ერთი მოდელის, მშობელი, როგორც თერაპევტი, ეფექტურობის შეფასება. ფსიქიკური განვითარების დარღვევების დროს რაც უფრო ადრეულ ასაკში მოხდება არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია და დახმარების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, მით უკეთესი გამოსავალი აქვს ბავშვს განვითარებისა და დამოუკიდებლად ფუნქციონირების თვალსაზრისით.

აღნიშნული განსაკუთრებულ ღირებულებას აუტისტური სპექტრის აშლილობების შემთხვევაში იძენს; ადრეული იდენტიფიკაცია და ინტერვენციის დროული დაწყება 3 წლის ასაკისთვის დიაგნოზის მოხსნის შესაძლებლობას ან მდგომარეობის მნიშვნელოვან

გაუმჯობესებას განაპირობებს (მაგ., Pediatrics, Dawson, et al. 2010). თუმცა, არ არსებობს შეთანხმებული აზრი ინტერვენციის ყველაზე ეფექტურ და, ამავე დროს, ხელმისაწვდომ მოდელთან დაკავშირებით. მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა გამოყენებითი ქცევის ანალიზისა და მშობლების მიერ შესრულებული ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ეფექტურობის შეფასებას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში ითარგმნა და პილოტური შეფასება გაიარა აუტისტური სპექტრის აშლილობის მკურნალობის ეფექტურობის შეფასების კითხვარმა - ATEC (Autism Treatment Evaluation Checklist).

კვლევაში მონაწილეობა მიიღო აუტიზმისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 21 ბავშვმა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინტერვენციის სხვადასხვა მოდელს ახასიათებს გაუმჯობესება განვითარების სხვადასხვა ასპექტში. კერძოდ, მშობლის ჩარევა უფრო ეფექტურია სოციალური უნარების გაუმჯობესებისათვის, ხოლო კოგნიტური უნარების გაუმჯობესებისათვის უფრო ეფექტურია სპეციალისტის ჩარევა.

მზადდება სტატია “აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის ეფექტურობა და მშობლების ჩართულობა” საერთაშორისო პუბლიკაციისთვის ჟურნალში: Journal of Autism and Developmental Disabilities.

კვლევის შედეგების წარდგენა:

თინათინ ჭინჭარაული - სასტენდო პრეზენტაცია „The Effectiveness of Parent-Mediated Early Intervention Program for Young Children with Autism Spectrum Disorders“ - European Conference on Psychological Assessment, სან-სებასტიანი, ესპანეთი, 17-20 ივლისი, 2013

კავშირი პრაქტიკასთან:

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სპეციალისტისა და მშობლების ერთობლივი მუშაობა ბავშვის განვითარების ხელშეწყობის გზაზე. კერძოდ, მშობელთა კონსულტაცია ბავშვთან მათი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გაძლიერებას უნდა უწყობდეს ხელს და არ შემოიფარგლებოდეს სპეციალისტის ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობით.